

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი #12

2016 წლის 08 ნოემბერი

11.00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები: გიორგი სარდლიშვილი, თამაზ ნათელაშვილი და ნუგზარ ჩანადირი, გიორგი ჭინჭარაული, გურამ ანსიანი, გიორგი წონდელი, მიხეილ სტეფნიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხს. ა. თოდუა

მოისმინეს:

საკითხი 1. მომხსენებელმა აღნიშნა რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 ნოემბრის #10/4349 და 8 ნოემბრის #10/4473 მომართვებით წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 დეკემბრის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მიმდინარე დაზუსტებით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. მიმდინარე დაზუსტებით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა 1110,2 ათ. ლარით და შეადგინა 17 052,6 ათ. ლარი.

კერძოდ, შემოსავლებიდან ჭარბი 797,9 ათ. ლარი და 2015 წლის გარდამავალი ნაშთიდან 167,7 ათ. ლარი (სულ 965,6 ათ. ლარი) გადანაწილდა შემდეგ სამუშაოებზე.

N	სამუშაოს დასახელება	კოდი	თანხა (ათ.ლარი)
1	მუნიციპალიტეტის საკრებულო (შრომის ანაზღაურება- 17,5 ათ. ლარი; ტრანსპორტის ხარჯი 4,0 ათ. ლარი;)	01 01	21,5
2	მუნიციპალიტეტის გამგეობა (შრომის ანაზღაურება- -120,0 ათ. ლარი; ტრანსპორტის ხარჯი ( გრეიდერის აღდგენა) 65,0 ათ. ლარი; ელექტროენერგიის ხარჯი (მუნიციპალური შენობების) - 70,0 ათ. ლარი; სოცუზრუნველყოფა - 5,0 ათ. ლარი)	01 02	260,0
3	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (შრომის ანაზღაურება - 9,1 ათ. ლარი)	02 01	9,1
4	გარე განათება - საქონელი და მომსახურება ( სოფლების გარე განათების ელენერგიის გადასახადი)	03 02 01	20,0
5	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - სუბსიდია („სოფწყალი“)	03 02 03	70,0
6	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია და მშენებლობა - არაფინანსური აქტივების ზრდა (მუნიციპალური შენობების კომუნიკაციების (დენი , გაზი) ქსელში ჩართვა)	03 02 06	10,0
7	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საექსპერტო მომსახურების ღირებულება (2017 წლის რგფ-ის სამუშაოების პროექტები)	03 05 01	150,0
8	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - სუბსიდია (ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური)	03 05 03	50,0
9	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა - სუბსიდია	04 01	200,0
10	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ – სუბსიდია	05 01 01	15,0
11	მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - სუბსიდია	05 02 01	60,0
12	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	06 02 02	100,0
	სულ		965,6

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიუჯეტის პროექტის ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის (2016 წლის 3 ნოემბრის N2284 განკარგულება) ნებართვით მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის სოფლების - ახალდაბის და აღდგომლიანთკარის წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტის განსახორციელებლად საერთაშორისო გრანტის - 144,7 ათ.ლარის მიღებით.

მიმდინარე ცვლილებებით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა 144,7 ათ.ლარით და შეადგინა 17 052,6 ათ. ლარი.

კომისიის წევრმა გურამ ანსიანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე დაზუსტებით ბიუჯეტის ხარჯების მუხლში დამატებულია 65 ათასი ტრანსპორტის ხარჯი, კერძოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება გრეიდერის აღსადგენად, რომელიც მასზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიწვა. აღნიშნულ ფაქტზე არ არის გამოძიების დასკვნა დადებული რის გამო დაიწვა ეს სატრანსპორტო საშუალება და იმ შემთხვევაში თუ ზარალის ანაზღაურება დაეკისრება მასზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს რატომ უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ხარჯის გაწევა მის აღსადგენად. გარდა ზემოაღნიშნულისა მან აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის დაფუძვნებული შპს „სოფწყალის“ დაფინანსება (სუბსიდირება) 2015 წლის მდგომარეობით შეადგენდა 293,9 ათ. ლარს. 2016 წლის 10 თვის მდგომარეობით დღევანდელი წარმოდგენილი ცვლილების გატვალისწინებით შეადგინა 410,0 ათ. ლარი. გასარკვევია სუბსიდირების თანხის მატება რის გამო განხორციელდა. კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტი შესაბამისი შენიშვნის გათვალისწინებით გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე თოდუა



კომისიის წევრები

იოსებ სამხარაძე

გიორგი სარდლიშვილი



გურამ ანსიანი



თამაზ ნათელაშვილი



ნუგზარ ჩანადირი



გიორგი ჭიჭარაული



გიორგი წონდელი



მიხეილ სტეფნიაშვილი

